№ 1 გამოცემა დ. ფერაძისა

შეუპყრობელი
ყ ა ჩ ა ღ ი

# ზელიმ-ხანი

თარგმანი რუსულიდან
დ. ფერაძისა.

30922

ᲡᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ Ა...
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა მუზ...
Библиотека-М...
имени
Акад. И. Гриш...
★ Академия наук...

2025

ფასი 7 კაპ.

1 9 1 3 წ.

სტამბა ა. კერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1.
თ ბ ი ლ ი ს ი.

## ყაჩაღი ზელიმხანი.

პავლე ჩინსკი, კორესპონდენტი „რანნოე უტროსი", გაგზავნილ იქნა კავკასიაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა შემდეგი:—დაეყო ზელიმხანის სამშობლოში, დაეთვალიერებინა ყველა ის ადგილები, რომელშიაც თარეშობდა ყაჩაღი ზელიმხანი, რომლის სახელიც ზღაპრათ არის გადაქცეული,—და აღენიშნა ყველა ის ადგილები, სადაც მას შეტაკება მოხდომია და სისხლის ღვრა მომხდარა. ამასთანავე ამ კორესპონდენტს დავალებული ჰქონდა ეკითხა იმ პირთათვის, ვინც ზელიმხანს დაახლოვებით იცნობდა და შეეკრიბა ამ პირთაგან დაახლოვებითი ცნობები: ვინ არის ზელიმხანი და რას წარმოადგენს იგი?..

### დამღუპველი ქალი.

როგორ გაჩნდა ზელიმხანი? რამ დააყენა იგი ავაზაკობის გზაზე?

— ქალმა!..

კავკასიის მთიულ ხალხს სიყვარული სულ სხვანაირათ ესმით ვინემ ჩვენ. ისინი სულ სხვანაირათ, სხვა გზით იპყრობენ, იმორჩილებენ ქალის გულს.

მაგალითად, არის ერთი მთიული ზღაპარი:

სცხოვრებდა ერთი ვინმე კარა-კუნდენტი, რომელიც თავის სიმძლავრით განთქმული იყო მთიულებში.

ერთხელ მასთან მივიდა ვიღაც უცხო სტუმარი, ღარიბულათ ჩაცმული ახალგაზდა ყმაწვილი.

ამ კაცმა კარა-კუნდენტთან სამი დღე გაათია სრულიათ ხმა ამოუღებლივ. მეოთხე დღეს მივიდა კარა-კუნდენტთან და უთხრა:

— ვინა ვარ მე—ლაპარაკი მეტია. მე მოველი შენთან იმისათვის, რომ ჩემთან ერთად წამოხვიდე დასაცემად.—თანახმა ხარ?

— ჰო, ვარ.

— პატარა გაფრთხილება: ჩვენ შეიძლება დაგვხოცონ.

— ეგ ზედმეტია: მე მოვდივარ.

დიდხანს იარეს ხმა ამოუღებლათ ბოლოს მივიდენ ერთ ადგილას, სადაც ხშირად ამოსულიყო ლერწმის ფერი ბალახი. უცნობმა უმაწვილმა უთხრა კარა კუნდენტს:

— მელოდე ამ ადგილას! და მსწრაფლ მოჰკურცხლა.

გათენებისას კარა-კუნდენტი გამოაღვიძა ცხენების ფრუტუნმა და ფეხების ხმამ: ეს უცნობი თავგამეტებით მოაჭენებდა თორმეტ საუკეთესო ცხენებს კარა-კუნდეტისაკენ. მოვიდა თუ არა კარა-ჩუნდეტთან,—დაიყვირა:

— შეჯექი ჩქარა და წავიდეთ!—ჩვენ მოგვდევენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მან დაუმატა:

— აგერ, მოგვდევს პატრონი, რომელსაც ცხენები წავართვი. მას კარგი ცხენი ჰყავს, და უთუოდ დაგვეწევა. ის მომვარდება მე. მასთან ჩხუბი მარტო მე მსურს და შენ არ ჩამოერიო მინამ, სანამ არ შემატყო რომ მე ძალა აღარ შემწევს; და როდესაც დაინახო რომ ის მძლევდეს, მაშინ მოსჭერი მას თავი.

— ყველაფერი იქნება შესრულებული.

მალე მათ წამოეწიათ ცხენების პატრონი. ის ამოღებული ხანჯლით მივარდა უჳნობ უმაწვილს, მაგრამ მან ერთის შემოკვრით გააგდებინა მას ხანჯალი ხელიდან. დიდხანს სცემდენ ერთმანეთს. ბოლოს შეხედა კარა-კუნდეტმა რომ მის თანამგზავრს ძალა აღარ შესწევს, მსწრაფლ მივარდა და ერთის დაკვრით ძირს დასცა მდევარი. შემდეგ მივარდა კარა-კუნდეტის თანამგზავრი, დაჰკრა ხმალი და

მოსჭრა თავი;—შემდეგ ის ძირს დაიხარა და მოინდომა მისი სისხლის დალევა მაგრამ კარა-კუნდეტმა არ გაუშვა რომ ეს ჩაედინა. ბოლოს მან მისი სისხლი პატარა კუპ-რიელში ჩაასხა, მაზე მოჭრილი თავი დადო, შემოიკრა ცხენზე და უთხრა კარა-კუნდეჩტს:—წავიდეთ!

გზაში დიდხანს იარეს. ბოლოს მივიდნენ ერთ სოფელში, სადაც გამართეს დიდი ლხინი. ლხინის შემდეგ კარა-კუნდეტი წაიყვანეს ცალკე სახლში მოსასვენებლად, მაგრამ მას ძილი სრულებით არ ეკარებოდა თვ ლებზე. ის ფრთხილად ადგა ლოგინიდან, გამოვიდა გარეთ, შეუმჩნევლად, დადგა შეკროვილ სალხის უკან და კინაღამ არ დაიყვირა: მის თანამგზავრს მოძრაობის დროს უეცრათ ქუდი გადაუვარდა თავიდან, გძელი თმები მას მხრებზე გადაეფინა. კარა-კუნდეტმა დაინახა რა, რომ მისი თანამგზავრი მამაკაცი კი არა, ახალგ:ზდა, მეტათ ლამაზი ქალი იყო. მას მაშინვე აღეძრა გულში მისი სიყვარული.

— გსურთ რომ ჩემი ცოლი გახდეთ? —ჰკითხა ქალს კარა-კუნდეტმა.

მსურს,—მიუგო ქალმა,—მხოლოდ შენ შეგიძლიან იყო ჩემი ქმარი.

ასე იყვარებენ ერთმანეთს მთიული ქალი და კაცი უაჩადობის დროს.

ამისთანა მაგალითები ცოლის შერთვისა კავკასიაში ხშირია. უმეტეს ნაწილად მთიულები თავიანთ ს:ცოლოებს ძალით იტაცებენ ხოლმე. ერთის მხრით ამისთანა საქციელს არაფრად ვაგდებთ, მაგრამ ხშირათ მიზეზათ ხდება მშვიდობიან მთიულის უაჩ:დობის გზაზე დადგომისა, ამნაირი სიყვარული!

უმაწვილმა შეიყვარა.—მას ურდა ცოლის შერთვა მაგრამ არა აქვს საშუალება, რომ მისცეს „ხალიმი"... ამ-

ნაირად, მისი ცხოვრება იცვლება და ის ადგება ავაზაკობის გზას.

ერთხელ ნაზრანოვის ოლქში, ინგუშებმა გამართეს საზოგადო ყრილობა, რომელზედაც უნდა შეემუშავებიათ ზონები თუ როგორ უნდა მოქცეოდნენ ბოლო ქურდობა-ავაზაკობისათვის. ამ ყრილობამ გადასწყვიტა შემდეგი: 1) დადგენილ იქნას ნიხრი „ხალიმზე" (გამოსყიდვა). ქალწულ ქალზე არა უმეტეს ას ხუთი (105) მანეთისა, ქვრივებზე არა უმეტეს 52 მან. და 50 კაპეიკისა., 2) საქმროს და საცოლოს სახლში ჯვარს დაიწერდენ, ორის მოწამით და სოფლის მამასახლისით უნდა გამოცხადდენ მულასთან და მიიღონ ფიცი იმისა, რომ მათ არ დაარღვიეს ხალხისაგან გადაწყვეტილი ნიხრი. შემდეგ ეს „ხალიმი" იწერება წიგნში, რის შემდეგაც სრულდება მულისაგან ჯვრისწერა ჯვარ დასაწერებზე.

როგორც ხედავთ, სიყვარულსა და ცოლის შერთვას ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ეღობება წინ. კავკასიაში, ბევრი ახალგაზრდა ჩეჩენი გაება მახეში რომელთაც აურია გვერდი ამ დადგენილებას.

ასეთივე მახეში გაება ზელიმხანიც.

ზელიმ-ხანს ჰყვდა ერთი ძმა რომელსაც ერქვა სახელად სოლტამურადი. ზელიმ-ხანს ძმა ძლიერ უყვარდა და მუდამ ერთად სცხოვრებდენ უწყინრად და ტკბილად.

ერთხელ ზელიმხანმა შეამჩნია ძმას, რომ ის რაღაც დარდიანად არის და წინანდებურად სიხალისე აღარ ეტყობა. ზელიმხანი რამდენჯერ არ შეეცადა მის გამხიარულებას, ის მაინც ჩაფიქრებული იყო და მას არაფერს არ უამბობდა თუ რისთვის იყო დაღონებული. ბოლოს, როგორც იყო გამოუტყდა ზელიმხანს, რომ მას უყვარს ერთი ქალი, ურომლისოდაც მას სიცოცხლე არ შეუძლია.

— მაშ შეირთე ცოლად,—უთხრა მას ზელიმხანმა.

სოლტამურადმა მძიმეთ ამოიოხრა.

— იმას სხვა უყვარს.

— ვინდა?

— მუგაიში.

ზელიმხანი ჩაფიქრდა: მუგაიში იყო მათივე სოფლის მცხოვრები, ცუდი მას არასოდეს არ უქნია მათთვის, მაგრამ ზელიმხანს ძმა ეცოდებოდა. მან იმავე საღამოს მოიხმო ძმა და უთხრა, ცხენები მოემზადებინა.

სოლტამურადმა გაკვირვებით ჰკითხა:—სხვაგან აპირებ სადმე წასვლას?

— ჰო, მე ვემზადები წასასვლელად შენთან ერთად: დღეს ჩვენ უნდა მოვიტაცოთ შენი შეყვარებული...

სოლტამურადს აღელვება შეეტყო.

— მაგრამ რომ არ გამოგვყვეს?..

— ეგ შეუძლებელია: მაშინ ძალით მოვიტაცებთ მას.

ზელიმხანმა და სოლტამურადმა ქალი მოიტაცეს და მოიყვანეს სახლში.

მეორე დილით ზელიმხანის სახლს გარშემოერტყნენ; ქალი წაართვეს სოლტამურადს და დაუბრუნეს ისევ მუგაიშს.

ამ დროს ზელიმხანი შინ არ იყო. როცა ზელიმხანი სახლში დაბრუნდა, მას წინ შეხვდა ძმა სოლტამურადი და აღელვებულის კილოთი უთხრა:

— შეყვარებული ისევ წამართვეს, და ეხლა მუგაიშთან არის. სოლტამურადმა მოწყენით დაუკრა ძმას თავი.

ზელიმხანს თვალები სიბრაზისაგან აენთო:

— ეს ხომ შეურაცხყოფაა ჩვენის ოჯახის!.. მე ამ საქმეს ასე არ დავტოვებ... წავიდეთ.

— სად?..

— ამას შენ მერე გაიგებ...

ხუთი წუთის შემდეგ ისინი უკვე მახლობელ მეზობ-

ლის სახლში ბეგმურზოევთან იყვენ რომელიც ზელიმხანის ერთგული მეგობარი იყო.

— შენ ოდესღაც ამბობდი, — დაიწყო ზელიმხანმა, — რომ შენ ზელიმხანის ერთგულ მეგობრათ ითვლები.

— ეგ შემიძლიან გავიმეორო ეხლაც...

— მაშ შენ შეგიძლია დაამტკიცო მეგობრობა საქმით?..

— ვიმეორებ: მზათა ვარ მუდამ შენთვის.

— თუ ეგრეა მაშ ადექი და წავიდეთ...

— სად?...

— ჩვენ უნდა მური ვიძიოთ შუგაიბზე.

ჯერ კიდევ არ დაღამებულიყო; ზელიმხანი, სოლტამურადი და ბეგმურზოევი ხოხვით გადადიოდენ კლდიან ადგილებზე საიდანაც უნდა გადასულიყვენ ერთ მეზობელ სოფელში. აქ მათ შეიტყვეს რომ შუგაიბი ამ კლდეებზე გადმოივლის და მივა სახში.

მას დიდი ხანი ელოდენ. ბოლოს მზის ჩასვლისას ზელიმხანმა შეამჩნია შორს რაღაც წერტილი, რომელიც თანდათან უახლოვდებოდა მათ.

— მზათ იყავით! — უბრძანა ზელიმხანმა მათ.

როდესაც შუგაიბი მიუახლოვდა იმ ადგილს, ის მაშინვე იქნა შეპყრობილი ჩასაფრებულ ზელიმხანისაგან და დანარჩენნიც გარშემოერტყენ შუგაიბს.

— შენი აღსასრული დამდგარია. — უთხრა მას ზელიმხანმა, — შენი სიცოცხლე ჩვენ ხელთ არის. სთქვი: თანახმა ხარ დაუბრუნო სოლტამურადს თავისი შეყვარებული თუ არა?..

— მე ის თვითონ მიყვარს...

— შენ მაგას არ გეკითხებიან. ორში ერთი: ან უნდა მოგვცე ეხლავე ფიცი, რომ შენ ხელს აიღებ შენს საცოლეზე, თუ არა და შენ უნდა გადაგდებულ იქნა ამ

კლდიდან სადაც ყორნები დაჰფლეთენ შენს სხეულს... ამოირჩიე...

მაგრამ ამ დროს შუგაიბს არ ეძინა. მსწრაფად გადახტა გვერდზე და იძრო ხანჯალი:

— ვინც გაბედავს და ახლოს მოვა, მოკლულ იქნება როგორც ძაღლი!..

— მაშ მე მოვალ შენთან! — დაუყვირა ბეკმურზოევმა და მივარდა შუგაიბს.

გაიწკრიალა ხანჯალმა და ბეკმურზოევს გულიდან გადმოსკდა ნაკადულივით სისხლი და ძირს დაეცა.

მასთან მიირბანა ზელიმხანმა: ნახა რომ მისი ერთგული მეგობარი უკვე კვდება.

ამ შემთხვევის გამო მათ შუგაიბი მთლად გაავიწყდათ. შუგაიბი უკვე შორს იყო მათგან და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გარბოდა.

ბეკმურზოევი მოკვდა.

მეორე დღეს, საღამოს, ზელიმხანი დაეცა შუგაიბს და სახლის ეზოში მოკლულ იქნა შუგაიბი და მისი მამა.

ამ მკვლელობისთვის ზელიმხანი და მისი ძმა სოლტამურადი შეიპყრეს და ციხეში გაგზავნეს.

## ზელიმხანის გაქცევა ციხიდან.

თავისუფლებას მიჩვეული მთიული ვერ შეეთვისა ტყვეობას და მუდამ განთავისუფლებაზე ჰფიქრობდა.

ზელიმხანი და მისი ძმა უნდა გაესამართლებიათ როგორც კაცის მკვლელნი.

— ჩვენ უნდა გავიქცეთ! — უთხრა ერთხელ ზელიმხანმა ძმას.

— საიდან? — განა ამ მაგარი კედლებიდან და რკინის რეშოტქებიდან შეიძლება წასვლა!? — მიუგო გაჯავრებულმა სოლტამურადმა.

ზელიმხანმა გაიღიმა...

— ჩეჩნებისათვის არ არსებობს მაგარი კედლები.

შუაღამისას ზელიმხანმა გააღვიძა ძმა, რომელიც იმავე ოთახში იმყოფებოდა სადაც ზელიმხანი იყო.

— ადექი!.. ყველაფერი მზათ არის... ფანჯარის რეშოთქა გადახერხილია. ის და დაგვრჩენია გადავხტეთ ფანჯრიდან და უკვე გარეთ ვიქნებით.

— და რომ ქუჩიდან სალდათმა შეგვნიშნოს?

— ის მოკლულ იქნება... მაგრამ შეიძლება ისე მოხერხდეს, რომ მისი მოკვლა არ დაგვჭირდეს. ჩვენ გვყავს კარგი თანაშემწე.

— ვინ?

— ბნელი ღამე.

ისინი გაიქცნენ. ეს იყო 1910 წ...

ისინი დაბრუნდენ თავიანთ სამშობლო მთებში... შეიარეს თავის სახლში, წაიყვანეს თავის მოხუცი მამა, რომელსაც სიკვდილი მოელოდა შურის მაძიებელთაგან შუგაიპის მოკვლისათვის, და ერთად განშორდენ თავიანთ სახლკარს.

ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ზელიმხანს უსრულდებოდა ოცდა ათი წელიწადი დაბადებიდან. ამნაირათ წარმოიშვა კავკასიაში ეს ზღაპრული ყაჩაღი.

## ოქრო-ვერცხლეულების მაღაზიის გაძარცვა ქ. გროზნოში.

ამ დღიდან იწყება ზელიმხანის შეუჩერებელი მოქმედება. ის იკრებს თავის გარშემო ერთგულ და თავზე ხელაღებულ ჩეჩნებს, და ახდენს სხვა და სხვა ადგილას თავდასხმებს და ძარცვა-გლეჯას.

იმ დროს, როდესაც გამალებით დაეძებდენ ზელიმხანს, იმ დროს, როდესაც ათასნაირი ხმები ვრცელდე-

ზოდა, რომ ზელიმხანი ვიღაც აბდულ გამურის ბილე-
თით ადესაში წავიდაო და იქიდან აპირებს ოსმალეთში
გადასვლასო,—ამ დროს გროზნოში მოხდა შემდეგი:

გაზაფხულია... მზე ჩადიოდა... ქალაქის ბაღი და
მთავარი ქუჩები სავსე იყო მოსეირნე ხალხით... უცებ
ხალხის ყურადღება მიიპყრო შემდეგმა გარემოებამ:

ქალაქის ერთ მთავრ ქუჩაზე გამოჩნდა ხუთმეტი
ცხენოსანი ყაზახი რომელთაც წინ აფიცერი მოუძღოდათ
და ნელის ნაბიჯით მოდიოდენ. ხალხს არავითარი ეჭვი
არ აღძვრიათ მათ დანახვაზე. ეს ყაზახები ჩამოხტენ ერთ
დიდ ოქრო-ვერცხლეულის მაღაზიის ახლოს, იქვე გვერ-
დით იმყოფებოდა ოლქის უფროსის კანცელარია, სადაც
მუდამ იყო მოყარაულე დარაჯთა რაზმი და 200 ნაბიჯზე
მდებარეობდა ყაზარმა ყაზახთა პოლკისა. ხალხი ფიქრობ-
და, რომ ესენი დარაჯების გამოსაცვლელად თუ მოვიდენო.

ვინ იყვნენ ეს ყაზახები?

ზემოთ მოხსენებულ ოქროეულის მაღაზიაში მოხდა
შემდეგი:

ამ მაღაზიაში შევიდა ამ ყაზახების აფიცერი ერთი
ყაზახის თანხლებით. აფიცერმა ჯიბიდან რევოლვერი ამოი-
ღო და განუცხადა შიგ მყოფთ:

— ადგილიდან არ დაიძრეთ!..

— ვინც გაბედავს და ერთ ნაბიჯს გადადგამს და-
საყვირებლათ, მოკლულ იქნება მაშინვე!—დაუმატა მის
გვერდით მდგომმა ყაზახმა (სოლამბეგმა).

მაღაზიის პატრონს უნდოდა რაღაც ეთქვა რომ ამ
დროს ერთმა მისმა მოსამსახურეთაგანმა, რომელიც, სა-
ხეზე მისჩერებოდა აფიცერს, ნელის ხმით წამოიძახა:

— ზელიმხანი!..

ეს საკმარისი იყო რომ ყველანი დანებებოდენ თა-
ვის ნებით და ხმა არ ამოეღოთ.

ზელიმხანმა და სოლამბეგმა გადმოიღეს თუ რამ ძვირფასი იყო, ჩაალაგეს აბგაში, გამოვიდნენ გარეთ შეჯდენ ყველანი ცხენებზე და გაუდგენ გზას...

ხალხი, მიმავალ ყაზახებს ჩვეულებრივათ გზას აძლევდა, და მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ შეიტყო მთელმა გროზნომ თუ რაც ყაზახები იყვენ ისინი.

— ზელიმხანი!.. ყველა იმეორებდა ამ სახელს, რომელმაც, ასე ამნაირათ გაძარცვა ოქროეულის მაღაზია.

მათ დასადევნებლად მსწრაფელ გაგზავნილ იქნა რაზმი, მაგრამ მის კვალსაც ვერ მიაგნეს.

## შეუსრულებელი განზრახვა.

ჯერ კიდევ არ გათავებულიყო ლაპარაკი და ყველას ის ახსოვდა თუ როგორ გაძარცვეს გროზნოში ოქროელის მაღაზია, რომ ზელიმხანი ისევ გაჩნდა ამავე ქალაქში.

მან გადაეწყვიტა მოტაცება გროზნოს ერთი მილიონერის, მაქსიმოვისა.

მაქსიმოვმა ჩვეულებრივათ საღამოს შვიდ საათზე დაკეტა კანტორა და დააპირა წასვლა თავისი ეტლით შინისკენ. ამ დროს ზელიმხანი ქალაქის ბაღში სეირნობდა აფიცრის ტანისამოსში გამოწყობილი. ზელიმხანის რაზმი კი, ადრე აღნიშნულ ადგილას იყო ჩამწკრივებული. ზელიმხანი ბაღიდან გამოვიდა და შეჯდა ცხენზე, რომელიც იქვე ელოდებოდა მას. ბოლოს მან ნიშანი მისცა თავის რაზმს და ყველამ ერთ ქუჩის შესახვევში მოიყარეს თავი მაქსიმოვის კანტორის ცოტა მოშორებით.

მაქსიმოვის ეტლი დაიძრა, გაიარა რამდენიმე მანძილი და ის იყო უნდა ჩავარდნოდა ზელიმხანს ხელში, რომ უცებ მაქსიმოვმა შორიდან შეამჩნია მდგომარე რაზმს, და მაშინვე მოაგონდა წინა დღით მომხდარი ამბავი,

რისთვისაც ეჭვი შეეპარა მათზე. მან უბრძანა ეტლი უკან დაებრუნებინა.

ზელიმხანი მიხვდა, რომ საქმე ცუდათ იყო, მან უბრძანა რაზმს. ცხენოსანი რაზმი მაშინვე სადღაც გაჰქრენ.

მათ კვლავ გამოუდგენ შესაპყრობლათ, მაგრამ ვერც ზელიმხანი და ვერც მისი ბრბო ვერ აღმოაჩინეს.

ამ დღიდან გადიოდა ხანი, და ზელიმხანის აღარა ისმოდა რა. ფიქრობდენ, თუ, მოკვდაო ან ავათ გახდაო და ამიტომ აღარა სჩანსო. ზოგჯერ ამბობდენ, რომ ზელიმხანი მოკლესო. ნამდვილად კი, ზელიმხანმა მონახა მთებში მიუვალი ალაგი წაიყვანა იქ თავისი ცოლშვილი და მიეცა მოსვენებას.

ზელიმხანის ოჯახი შესდგებოდა ხუთი სულისაგან: ცოლი მისი ბიტტი, — ორი პატარა ქალი, მუსული-მათი და ენისა და ორი ვაჟი, ამათ გარდა მათთან სცოვრებდა ერთი შუახნის ჩეჩნის ქალი. ზელიმხანს განსაკუთრებით უყვარდა პატარა ქალი მუსული-მათი, რომელიც ყველაზე გონიერი და მშვიდი იყო. ზელიმხანი ფიქრობდა რომ მთელი ზამთარი თავის ცოლშვილში გაეტარებინა, მაგრამ ამ დროს ბედი სულ სხვას უქადდა.

ღვინობისთვე იდგა 1910 წ... დღეები წვიმიანი და არა სასიამოვნო სუსხიანი იყო... ზელიმხანი სახლში იჯდა და იარაღს წმენდდა, — ბიტტი კი საოჯახო საქმეს ასრულებდა და თან დამღეროდა ერთ ქართულ სიმღერას:

ალი ფაშამ გვიღალატა
ჩაგვიყვანა კვირიკეთში,
თვითონ ფულები აიღო
ჩვენ ჩაგვყარა მტრისა ხელში.

ამ სიმღერის დროს ზელიმხანი ზეზე წამოვარდა

და გარეთ გავიდა, ის მაშინვე შემობრუნდა სახლში, და დაჭკოცნა ცოლშვილი.

— მიხვალ?—გაკვირვებით ჰკითხა ცოლმა.

— ჰო, მივალ,—მიუგო ზელიმხანმა—როდესაც მე გარედ გავედი, ჩემს ყურებს მოესმათ რაღაც ცხენების ფეხის ხმა. მგონი ჩვეხსკენ უნდა მოდიოდენ. ჩხანს ვიღაცამ გაგვთქვა... მშვიდობით?.. შეიძლება თქვენ ხელი არ გახლონ... ზელიმხანის თვალები სისხლივით გაწითლდენ,—მაშინ მათ თქვენი ხელის ხლება ძვირათ დაუჯდებათ...

ზელიმხანი შეჯდა ცხენზე და რამდენიმე წუთის შემდეგ თვალთაგან გაჰქრა. ის არ მოსტყუვდა: მოლოდინი გაუმართლდა, და იმ ადგილს, სადაც მისი სახლი იყო, გარშემოერტყა ყაზახების რაზმი. რაზმს შეხვდა ბიტტი.

— სად არის ზელიმხანი?.. ჩვენ ზელიმხანი გვინდა!..

ბიტმა ზრდილობიანად დაუკრა თავი და მშვიდად უპასუხა:

— ზელიმხანი აქ არ გახლავთ... აქ მარტოკა ჩვენა ვსცხოვრობთ... და სად არის ზელიმხანი, ჩვენც არ ვიცით.

რაზმის უფროსმა გაიღიმა:

— ჰოო?.. მაშ ჩვენ იმას ეხლავე მოვძებნით და გაჩვენებთ: ჩვენ ცნობა გვაქვს, რომ ზელიმხანი აქ არის.

ჩხრეკამ მთელი ორი საათი გასტანა. გადაანგრიეს ყველაფერი, ყაზახები ყოველ მხარეს მოედვნენ მაგრამ მის კვალსაც ვერ მიაგნეს

— ისევ გაჰქრა!..

ბოლოს რაზმის უფროსმა განუცხადა ბიტტის:

— მოემზადეთ ყველანი, თქვენ დატყვევებული ხართ.

ბიტტი მშვიდათ იყო. აგრეთვე მშვიდათ იდგა პატარა მუსული-მათიც.

დატყვევებული ცოლშვილი ზელიმხანისა, გადაწყვეტილი იყო წაეყვანათ ქალაქში მდინარე ასსიხის ხეობით.

— მე გთხოვდით, რომ სხვა გზა ამოგერჩიათ ვიდრე აქედან წასვლას,—განუცხადა ბიტტიმ რაზმის უფროსს.

— რისთვის?

— იმისათვის, რომ მე არ მინდა კიდევ სისხლი დაიღვაროს...

— სისხლი? გაიკვირვა რაზმის უფროსმა,—საიდან შეიძლება რომ ეს მოხდეს?

ბიტტიმ უნებურათ ჩაიქნია თავი.

— აი იქიდან... განა თქვენ არ იცით ჩეჩნების ზნე-ჩვეულებას?.. როდესაც ჩეჩენთა ოჯახობა მიჰყავთ დატყვევებული,—ეს დიდი შეურაცხყოფა არის მათი. და ის იცავს მათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე...

— ქვევით?

— ქვევით ისა, რომ მე, მეშინიან ზელიმხანმა არ შეიტყოს ჩვენი დატყვევება და თავს არ დაგვესხას თავისი ბრბოთი... რასაც მოყვება შეტაკება, დაიღვრება სისხლი და მოყვება ახალი მსხვერპლი...

რაზმის უფროსი ერთხანს შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ გადაწყვეტით განაცხადა:—ზელიმხანის შეხვედრის ჩვენ არ გვეშინია: ჩვენ პირიქით მის დასაჭერათ მოვსულვართ ამისათვის აი ჩემი პასუხი: ჩვენ წავალთ ასსინის ვიწრო ხეობით...

რაზმის უფროსმა უბრძანათ წასულიყვნენ ამ გზით.

რაზმი, რომელსაც მიჰყავდა ზელიმხანის ოჯახობა, ორ ნაწილათ გაიყო. პირველ რაზმს ხელმძღვანელობდა თავადი ანდრონიკოვი, და მეორეს, ხელმძღვანელი დაღესტნის პოლკის ყაზახთა ასეულისა, დონაგუევი. რაზმი ნელის

ნაბიჯით მიიწევდა წინ. და აი იწყება კიდევ ის უბედურება, რსაც მოელოდენ ასსინის ვიწრო ხეობაში.

წინ მიდიოდა თავისი რაზმით—თავ. ანდრონიკოვი. გაიარეს თუ არა რამოდენიმე ნაბიჯი, უცებ საიდგანღაც იგრიალეს თოფებმა. გაიხედეს წინ. თავ. ანდრონიკოვი, ცხენიდან ძირს გადმოვარდა: ის იქნა სრულიად მოკლული. ყაზახების უფროსმა დონაკუევმა გასცა რაღაც ბრძანება მაგრამ ამ დროს მეორედ დაიგრიალეს თოფებმა და სასიკვდილოთ იქნა დაჭრილი დონაკუევი... დაიწყო გაცხარებული სროლა ორივე მხრიდან. ყაზახების მხრივ ბევრი დაიხოცა. შემდეგ გადასცვივდენ ყაზახები იქით, საიდანაც თოფის ხმა მოდიოდა მაგრამ ვერავინ ვერ აღმოაჩინეს. ზელიმხანი და მისი ბრბო უკვე წასულიყვნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ, ვლადიკავკავში ასაფლავებდენ ასსინის ხეობაში დახოცილთა გვამებს... ჩამწკრივუბული იყო ერთათ კუბოები. მათ დასაფლავებაზე მთელი ქალაქი შეგროვილიყო... ისმის გულშემზარავი ოხვრა...

პროცესია გაემართა სასაფლაოსაკენ. უცებ რაღაც ნოჩქოლი ატყდა.

ერთმა ყაზახმა, რომელიც კუბოებს გვერდით მიყვებოდა, და რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ასსინის ვიწრო ხეობაში მომხდარ შეტაკებაში,—შეხედა მის გვერდით მიმავალ აფიცერს სახეზე და განცვიფრებით წამოიძახა:

— ზელიმხანი!..

მრავალრიცხოვანმა ხალმა გრგვინვით განიმეორა ეს საშინელი სახელი:

— ზელიმხანი!..

უნდოდათ მივარდნოდნენ მას, მაგრამ უკვე გვიან იყო: ზელიმხანმა შერგო თავი ხალხში და გაქრა.

ასე გამოუცნობელი დარჩა: მოეჩვენა ყაზახს, თუ, მართლა იყო ის შეუპყრობელი და ზღაპრათ გადაქცეული ყაჩაღი ზელიმხანი, რომელიც შურის ძიების შემდეგ ჩა მოსულიყო და თავის ხელით დახოცილთა გვამების დაკრძალვას ესწრებოდა.

## გამცემის მოკვლა

ზელიმხანი, როგორც ამბობდნენ, დიდი წინააღმდეგი ყოფილა კაცის მოკვლისა. ის მუდამ არიგებდა თავის რაზმს:

— ერიდეთ მუდამ ყოველნაირ შეტაკებას,—თქვენ ნუ გახდებით მიზეზი უბრალოთ სისხლის ღვრისა, გახსოვდესთ, რომ ჩვენ უბრალო ყაჩაღები არა ვართ: მკვლელობა უნდა მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში, როცა ეს აუცილებელი იქნება!

ერთხელ ზელიმხანი ჩაფიქრებული იჯდა და იმის ლაპარკში იყო თუ, ვინ გასცა და ვინ დაადღვრევინა სისხლი ასსინის ხეობაში. ბოლოს მან ერთბაშად გადასწყვიტა და განუცხადა რაზმს:

— გამცემს უნდა თავი მოეკვეთოს!

რაზმელებმა ერთმანეთს შეხედეს და ვერ წარმოედგინათ თუ ზელიმხანი მოკვლაზე რამეს იტყოდა.

— ზელიმხანი ჩვენ გვარიგებდა და ეხლა თითონ გამოაქვს განაჩენი:—მოეკვეთოს თავი!..

რამდენიმე დღის შემდეგ ზელიმხანთან მოვიდა ერთი წევრი მისი რაზმისა და განუცხადა:

— გამცემი ამღმოვაჩინეთ.

ზელიმხანმა მას უნდობლათ გადახედა.

— ვინ არის?

— მწყემსი სავტარი.

ზელიმხანს აღელვება დაეტყო:

— შეუძლებელია...

— და მე ყველა საბუთები ხელთა მაქვს.

— საბუთები?—შეეკითხა ზელიმხანი.

— ჰო... ამაზე ლაპარაკობს ყველა... შეგიძლიათ შეეკითხოთ თითონ იმ ხალხს, რომლებთანაც ულაპარაკნია თვითონ სავტარს. მას დაჰპირებიან ამისათვის კარგს საჩუქარს, რის შემდეგაც მან უჩვენა ის ადგილი სადა შენ სცხოვრობდი ოჯახობით.

ზელიმხანი ჩაფიქრდა:

— მე შენი მჯერა. წავიდეთ იმ ხალხთან. მაგრამ იცოდე, თუ შენ მართალი არა სთქვი, შენ იქნები მოკლული.

გზაში ზელიმხანი ხშირად გაიძახოდა:

— სავტარ!.. სავტარ!..

— შენთვის ეგრე ძვირია ეგ სახელი?—ჰკითხა მას ერთმა მისმა თანამგზავრმა ყაჩაღმა.

— არა,—მიუგო ზელიმხანმა,—მაგრამ მე არ მეგონა, თუ კაცი, ასე გათახსირებული იქნებოდა...

— რისთვის?

— იმისთვის, რომ სავტარს მე მთელი სამი წე-

ლიწადი ვინახამდი. ის ამდენხანს დაიხოცებოდა ოჯახო-ბით, მაგრამ მე ვაძლევდი მას საშუალებას ცხოვრებისას. და ერთხელ მე დავიხსენი ის სიკვდილისაგან და თავზე ავაშორე სამარცხვინო ბრალდება. და რას ვხედავ?—აი რით გადამიხადა!.. წავიდეთ ჩქარა!..

ზელიმხანს მეტი ხმა აღარ ამოუღია. აგრეთვე ხმა ამოუღებლივ დაბრუნდა ის უკან, როდესაც დამტკიცებულ იქნა ბრალდება სათვტარის შესახებ.

ზელიმხანს მთელი ღამე არ სძინებია. გათენებისას მან დააღვიძა თავისი რაზმი:

— წავიდეთ!...

— დასაცემად?

— არა, ჩვენ წავალთ სტუმრათ სათვტართან.

— სათვტარს ეხლა ძლიერი დამცველი რაზმი იცავს... გელოდებიან, რომ შენ მიხვალ იქ, და ამიტომ ჩასაფრე-ბულნი არიან...

ზელიმხანმა გაიღიმა:

— გველოდებიან ერთის მხრიდან, ჩვენ კი მეორე მხრიდან მივალთ... დაიძრით...

შუა დღე იყო... სათვტარი პურის საჭმელად ემზა-დებოდა, რომ ამ დროს მასთან მიირბინა პატარა ბავშვმა და უთხრა:

— არიქა, ცხვარი მოიტაცა ვიღაც კაცმა.

სათვტარი მაშინვე ზეზე წამოვარდა.

— საით წაიყვანა?

— აი იქით წაიყვანა!..—უჩვენა თითით ბავშმა.

სათვტარმა წამოავლო ღანას და სასროლ იარაღს ხე-

ლი და დაედევნა ქურდს. გაიარა თუ არა ნახევარი ვერსი, უცებ შეჩერდა ერთ ვიწრო გზის შესახვევში და გაფითრდა: მის წინ საიდგანღაც გაჩნდა ზელიმხანი.

— გიხაროდეს საფტარ, შენთან სტუმრათ მოველით.

შეშინებული საფტარი ფეხებში ჩაუვარდა ზელიმხანს.

— შემიბრალე!.. მე ვიცი, რომ შენ გითხრეს ყველაფერი ჩემზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ შენ არ მოინდომებ ჩემს სიკვდილს. მე დამნაშავე არა ვარ... შემიბრალე, მაპატიე ჩემი ცოლშვილის გულისათვის...

— და შენ, ჩემი ცოლშვილი შეიბრალე?.. შენ მართალი ხარ: არ უნდა დავღვარო სისხლი... მე თითონ ვამბობდი ამას... მე არავინ არ მომიკლავს იმისათვის, რომ მისი სისხლი დამელია და ეხლა შენ იქნები პირველი... ეს იქნება სისხლი გამცემისა, რომელსაც მე შევსწირავ მსხვერპლათ ეშმაკს.

რა დაატყო რომ აღარ აპატიებდა. საფტარმა დანა მოიმარჯვა, მაგრამ ის ხელიდან გააგდებინეს გარშემო მდგომმა ყაჩაღებმა.

გაიელვა ხანჯალმა, და საფტარის თავი ძირს გაგორდა მიწაზე. ზელიმხანმა რამდენჯერმე წაკრა ფეხი საფტარის სხეულს და დასძინა:

— ძაღლს ძაღლური სიკვდილი ეკუთვნის!..

---

ასსინის ხეობაში მომხდარმა სისხლის ღვრამ და იქიდან ზელიმხანის ხელახლა გაქცევამ მთელი ოლქი აალაპარაკა.

მეფის მოადგილის მონდობილობით, ამ საქმის გამოსაძიებლათ და ყაჩაღების შესაპყრობლათ, გროზნოში მოვიდა მეფის მოადგილის თანაშემწე ღენერალი შატილოვი.

შედგენილ იქნა ორი ასეული დამცველი რაზმი.

ამ დროს ზელიმხანის შესახებ ათასნაირი ხმები ვრცელდებოდა. ამბობდენ: ზელიმხანი ამ ადგილას ვნახეთ და ამადა ამ ადგილას იყოვო.

ამ ხმების გამო დაგზავნილ იქნენ ყოველ მხარეს მზვერავი რაზმი, რომლებმაც მალე მიაკვლიეს ზელიმხანის კვალს. მათ შეიტყვეს, რომ 15 ღვინობისთვეს ზელიმხანი თავისი რაზმით ღამეს გაათევს ვინმე ადუევის სახლში, ძველ სუნჟენის „აულში“ (სოფელია სადაც კლდიან ადგილებშია გაკეთებული სახლები) რომელიც გროზნოზე ორი ვერსით არის დაშორებული.

ამ სახლს, მეტ სახელად ერქვა „შავი ბუდე“, სადაც ყველა ყაჩაღები თავს იფარავდენ. გროზნოში თუ რამ ძარცვა-გლეჯა მოხდებოდა, მცხოვრებლებმა უკვე იცოდენ, რომ უთუოდ ყაჩაღები ამ სოფელში იქნებოდენ დამალულნი, რადგან ეს სოფელი ბუნებრივ სიმაგრეს შეადგენს. ამ სოფელში ყოველივე კვალი იკარგებოდა მძარცველებისა.

ამიტომ, როდესაც შეიტყვეს, რომ ზელიმხანი ღამეს გაათევდა ამ ზემოხსენებულ სოფელში ვინმე ადუევის სახლში, მაშინვე იქნა მიღებული ზომები მის შესაპყრობლად, გაგზავნილ იქნა მის წინააღმდეგ ორი როტა ჯარის კაცი დაღესტნის პოლკისა და ასი ყაზახი.

ღამის ორ საათზე მზვერავებმა მოიტანეს ცნობა, —ზელიმხანი უკვე იქ არის. მას თავისი რაზმთან ერთად სძინავსო.

რაზმი ფრთხილად მიუახლოვდა ადუევის სახლს.

მაგრამ, ზელიმხანსა და მის რაზმს ჰყავდა ფრთხილი ყარაულები: ადუევის ძაღლები.

მოესმათ თუ არა ძაღლებს ფეხის ხმა, საშინელი ყეფით მიესივნენ მომავალ ჯარისკაცებს. მათ მოჰყვა მეზობელ ძაღლების ყეფაც. ძაღლების საშინელმა ხმაურობამ მთელი სოფელი გამოაღვიძა და გარეთ გამორბოდნენ ამბის გასაგებათ, თუ რისთვის ასტეხეს ხმაურობა ძაღლებმა.

მალე ყველაფერი შეიტყვეს.

როდესაც ადუევის სახლს ალყა შემოარტყეს, სახლის კარი გაიღო. კარებში გამოჩნდა ქალი, მიიხედ-მოიხედა გარშემო და შემდეგ ისევ მიიმალა.

სახლში უცებ სინათლე ჩაქრა... ვიღამაც დასტვინა და მას მოჰყვა ადუევის ეზოს მახლობლათ ყვირილი და კვნესა...

გაისმა ჭაერში სროლის ხმა.—ყველანი იქითკენ გაიქცნენ...

ამ დროს ადუევის სახლიდან გარედ გამოვარდა ვიღაც ჩეჩენი რომელიც ლამობდა ალყის გარღვევას და გაქცევას.

რაზმს, რომელიც ადუევის სახლს შემორტყმოდა, ხელმძღვანელობდა ჭორუჩიკი ეჭიევანოვი.

— გაჩერდი!—დაუყვირა მან მოახლოვებულ ჩეჩენს,

რომელიც ჰფიქრობდა ალყის გარღვევას, და ესროდა. მაგრამ ამ დროს ჩეჩენმა უკვე გაარღვია ალყა და გაიქცა.

პორუჩიკი ხმალ ამოღებული დაედევნა მას... ჩეჩენი მიჰქროდა როგორც ფრინველი... პორუჩიკთან ერთად მისდევდა ერთი სალდათიც.

ჩეჩენს დაეწივნენ...

დაინახა რა ჩეჩენმა, რომ უკვე დაუახლოვდენ მას მდევრები, მსწრაფლ შემოტრიალდა და ესროდა აფიცერს. აფიცერმა მწარეთ დაიკვნესა, და იქვე დავარდა მიწაზე.

კიდევ გამოესალმა სიცოცხლეს ერთი ახალგაზდა. ჩეჩენმა (ზელიმხანმა) გაისროლა მეორეთ... ვიდამაც დაიკვნესა და ისიც იქვე დავარდა უსულოდ: ეს იყო სალდათი, რომელიც მას მისდევდა უკან დასაჭერად...

აღუვის ეზოში კი, ამ დროს გაცხარებული სროლა და ტყვიების ზუზუნი ისმოდა... ზოგან ყვირიან ზოგან კი გაისმის კვნესა, გოდება...

ზელიმხანმა კი, ამ დროს მოჰკლა ორი მდევარი და მსწრაფლ გადაუხვია გვერდზე.

— დაიჭით!.. დაიჭით!..

უახალს კვლავ გამოუდგნენ დასაჭერად, მაგრამ უკვე გვიან იყო: ჩეჩენმა მიაღწია ერთ გაუვალ ადგილს... ყველანი ფიქრობდენ, რომ ის იქიდან ვეღარ წავიდოდა.

მაგრამ ზელიმხანი ერთ წუთსაც არ შემდგარა, ის უშიშრათ გადახტა მაღალ კლდიდან მდინარე „სუნჯაში“; სადაც უკვალოდ გაჰქრა.

აღუევის სახლის გარშემო კი, სროლა ისევ გრძელდებოდა.

გათენების ხანს სროლა შეწყდა და დაიწყეს დახოცილების მოგროვება. ადუევის სახლის კარებში ნახეს მოკლული თვით სახლის პატრონი და ორი ქალი. (ეს ადუევი ცნობილი იყო როგორც მძარცველი, რომლის სახლიც მძარცველების ბინათ იყო გადაქცეული).

ზელიმხანი ისევ გაიქცა.

ყველა დარწმუნებული იყო, რომ ზელიმხანი ცოცხალი არ გადარჩებოდა მდინარე „სუნჯაში“ გადახტომის დროს. მაგრამ, ზელიმხანი რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გაჩნდა თავისი რაზმით ქ. გროზნოში, სადაც იმ დღეს იქ ბაზრობა იყო გამართული.

როგორც ამბობდენ, გროზნოში ზელიმხანი იმიტომ ჩამოსულიყო, რომ იქ მას უნდა მოეწყო თავდასხმა „აზოვო-დონის“ ბანკის განყოფილებაზე.

ბანკზე დაცემა უნდა მომხდარიყო დღისით, გაცხარებულ ვაჭრობის და ბაზრის ხალხის აურ-ზაურის დროს.

ბანკის ახლოს უკვე შეენიშიათ ვიღაც არა საიმედო პირები.

როგორც ამბობდენ, დანიშნული იყო დრო, თუ როდის უნდა დასცემოდენ, რომ ერთ გარემოებას არ შეეშალა მათთვის ხელი: ბანკის ცოტა მოშორებით ზელიმხანს უკვე ჩაემწკრივებია თავისი რაზმი, და თითონ, უშიშრათ დადიოდა ბაზარში, ყიდულობდა საქონლებს და თან მასხრობდა ვაჭრებში. ამ დროს ზელიმხანს წინ შეხვდა ერთი ჩეჩენი. უცებ ორივემ უკან დაიწიეს და იძვრეს ხანჯლები...

უცნობი ზელიმხანის მოსისხლე მტერი იყო. ის

მივარდა ზელიმხანს, მაგრამ, ზელიმხანმა ერთი მაგრათ შემოჰკრა ხანჯალი და მსწრაფლ მიიმალა არეულ ხალხში.

ყველანი გაიძახოდენ: — აქ არის ზელიმხანი! დავინახეთ ზელიმხანი!

მალე ქუჩებში გაჩნდა ცხენოსანი ჯარი... შეშინებული ხალხი აქეთ-იქით გარბოდა. ყველა გამვლელ-გამომვლელთ ათვალიერებდენ, მაგრამ ამაოთ: ზელიმხანი და მისი რაზმი უკვე აღარსად სჩანდა

## მღვდლის შეხვედრა ზელიმხანთან.

მეტად წყნარი საღამო იყო... ერთი ქართველი მოხუცი მღვდელი გ. მიუახლოვდა გლუხორას გადასავალს თუ არა, იქვე გზის შესახვევში მას წინ გადაეღობა სამი ცხენოსანი კაცი:

— გაჩერდით!

მღვდელი და ერთი მისი თანამგზავრი შეჩერდენ.

— ჩვენ შევიტყვეთ, — დაიწყო ერთმა მათგანმა, — რომ თქვენ მიგაქვთ ბლომა ფული. რომ თავიდან ავიცილოთ სისხლის ღვრა, გაისარჯენით და გადმოგვეცით თქვენის ნებით.

მღვდელი არ იყო ზოგიერთებივით მფრთხალი, და ღიმილით უთხრა:

— თქვენ ვინღა ბრძანდებით? ფულების ამკრეფი (სბორჩიკი?)

პირველმა მათგანმა მღვდელს გადახედა და უპასუხა:

— დიახ, „სბორჩიკი“. მე — ზელიმხანი ვარ!..

ამ სახელმა მღვდელზე არა ჩვეულებრივათ იმოქმედა.

— ზელიმხანი?.. როგორ!.. გამიგონია იმაზე და მოხარული ვარ რომ შემთხვევა მომეცა მრავალ ცოდვე-ბიან ყ ჩადის ნახვისა... დიდხანს ვნატრულობდი ამას...

— და თუ ეგრეა, მაშ მიცქირეთ. საინტერე-სოა, რათ მოგივიდათ ჩემის ნახვის სურვილი?

მღვდელი გულმოდგინეთ ათვალიერებდა ზელიმხანს.

— იმისათვის, რომ მე მინდა ვუთხრა მას, რომ მისგან ჩადენილი ცოდვები შემაძრწუნებელია; მე მინდა ვუთხრა მას, რომ მან დაარღვია ყველა, ღვთის მცნებანი; მე მინდოდა მეთქვა იმისთვის, რომ ხალხი ლოცულობს მის სიკვდილზე; რომ სისხლი, დაღვრილი მისგან, ჴღა-ღადებს; რომ იმაზე დიდი ხანია სტირის სახრჩობელა.

ზელიმხანმა თავი ჩაიქნია.

— მე თქვენი მოვისმინე მამაო, და გიპასუხებთ. თუ ის მართალია, რასაც თქვენ ლაპარაკობთ; თუ რომ მართლა ხალხი ჩემის სიკვდილისთვის ლოცულობდეს, დამიჯერეთ, რომ მე დიდიხანი აღარ ვიქნებოდი... მე სიცოცხლეს არაფრათ ვაგდებ... და არც ადვილია ყაჩა-ღათ ყოფნა... მაგრამ მე ვიცი, რომ ეგ ტყუილია... ვწუხარ, რომ დრო არ მაძლევს ნებას, რომ კიდევ გე-ბაასოთ, და ამიტომ კიდევა გთხოვთ გადმოგვცეთ ფულები.

მღვდელმა გადასცა ფულებიანი ტყავი და უთხრა:

— ყველა ჩვენი ფულები ამაშია... მაგრამ მე კი-დევ ყველაფერი არ მითქვამს, მე ვსთვლიდი ზელიმხანს ყაჩაღათ, და არა უბრალო ავაზაკათ, რომელიც მოხუცე-ბულთ ეცემა დაართმევს საცოდავ ხალხისაგან შეგრო-ვილ უკანასკნელ გროშებს...

— დაჩუმდი!—დაუყვირა აიუბმა,—თორემ ეხლავე მოკალული თავს!

ზელიმხანმა შეაჩერა თავის ფიცხი ხელქვეითი და მძიმეთ ამოიოხრა:

— ის მართალს ამბობს!

ყაჩაღმა ზელიმხანმა, მღვდელს ფული ისევ დაუბრუნა და უთხრა:

— წაიღეთ თქვენი ფული და მიბრძანდით.

— ეს ორი ოქროც ზელიმხანის და მისი ბრბოს სახელობაზე წაიღეთ!—ზელიმხანმა ამოიღო ორი ოქროს ფული ჯიბიდან და გადასცა მათ...

— უკან! გაისმა ბრძანება და ერთი წუთის შემდეგ ყაჩაღები მიიმალნენ.

მღვდელი და მისი თანამგზავრი გაშტერებულნი გასცქეროდენ იმ გზას, საითკენაც ყაჩაღები წავიდნენ. ეს ერთი მოთხრობაა იმ ათასი მოთხრობიდან ზელიმხანის შეხვედრაზე და აი მეორეც:

ერთ საღამოს, გვიან, ბრუნდებოდა სადგურის უფროსი ეტლით შინისაკენ. მას თან ახლდა ცოლი და ორი თავის პატარა შვილი. მათ ახლდათ ერთი მგზავრი და თითონ მეეტლე. სადგურიდან რამდენიმე ვერსზე, რომელსაც ცხენები ნელის ნაბიჯით მიდიოდნენ, საიდგანღაც გამოძვრა რამდენიმე კაცი და ცხენების აღვირში წაავლეს ხელი. სადგურის უფროსმა ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო, მაგრამ ის მაშინვე გააგდებინეს ხელიდან.

— სულ უბრალოთ ფათურობთ. ფული ამოიღეთ!..

შეშინებულმა სადგურის უფროსმა მაშინვე ამოიღო

ჯიბიდან საფულე და გადასცა მას. ზელიმხანმა დათვალა ფული და უთხრა:

— რვა თუმანი და ხუთი მანეთი!.. ეს ბევრი არ არის?

სადგურის უფროსის ცოლს შიშისაგან განკალი აუტყდა და გული მისდიოდა...

— ჰკითხეთ მაგ ქალბატონს,— მიმართა ზელიმხანმა თარჯიმანს,—რისთვის სწუხს ეგრე მწარეთ?.. უთხარი, რომ ჩვენ მას ხელს არ ვახლებთ.

— ქალბატონი იმისათვის სწუხს,—-მიუგო თარჯიმანმა,— რომ ეგ მათი უკანასკნელი ფულია და ისიც სახაზინო. ამ ფულის შევსება მათ არ შეუძლიათ. და რევიზია რომ მოხდესო, ჩემ ქმარს დაითხოვენ და სამართალში მისცემენ რის შემდეგაც, ჩვენ მოგველის შიმშილით სიკვდილიო. მთავარმა ყაჩაღებისამ, გულდასმით მოისმინა და უთხრა:

— ნუ სტირით, ზელიმხანი ღარიბებს არასოდეს არ შეურაცხყოფს და არც წაართმევს...

ზელიმხანმა თავისი ხელით უკანვე გადასცა ფული სადგურის უფროსის ცოლს და უთხრა:

— დაითვალეთ... ჩვენ არაფერ არ წაგვიღია...

ყაჩაღი ცხენზე შეჯდა... ჯიბიდან მან ქაღალდის ხუთმანეთიანი ამოიღო და მიაწოდა ქალს:

— ეს საჩუქრათ ქონდეს ბავშვებს!.. შემდეგ ზელიმხანი ზრდილობიანათ გამოემშვიდობა მათ და უთხრა:

— კეთილი მგზავრობა მოგცესთ!

ამის შემდგ ზელიმხანი თავისი რაზმით მიიმალა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ერთი ზელიმხანის წევრთაგანი მოუბრუნდათ მათ და უთხრა:

— ნუ გეშინიათ!.. თქვენ არავითარი ხიფათი არ მოგელისთ... მხოლოდ, ზელიმხანი გთხოვსთ თქვენ, რომ შეუსრულოთ მას ერთი დიდი თხოვნა.

სადგურის უფროსი გაკვირდა.

— თხოვნა?..

— დიახ. ის გთხოვსთ თქვენ, თუ შეიძლებოდეს, თქვენი ჩასვლის დროს არავის არაფერი არ უთხრათ ზელიმხანის შეხვედრაზე... ხვალ შეგიძლიათ ყველაფერი სთქვათ... მშვიდობით!..

ცხენოსანმა ჩეჩენმა მსწრაფლ მოჰკურცხლა.

როდესაც მესმოდა ამისთანა მოთხრობები, მე დავინტერესდი:

— სრულდებოდა თუ არა ამისთანა თხოვნები ზელიმხანისა?

სჩანს რომ სრულდებოდა. გასაკვირი ის არის, რომ ზელიმხანი სარგებლობდა საიდუმლო თანაგრძნობით, არა მარტო ჩეჩნებში, არამედ ინტელიგენციასა და ჩინოვნიკების მხრიდანაც.

მიზეზი?

სხვა და სხვა მოთხრობებთან ერთად, ზელიმხანის მხეცურ მოქმედებაზე მოგვითხრობენ კიდევ სხვებსაც.

ერთი ყაზახი, რომელიც ზელიმხანის წინაამდეგ შედგენილ რაზმში იყო ჩარიცხული, გადმოგვცემს შემდეგს:

— ჩვენ ვიდექით ერთ პატარა სოფლის ახლოს.

ქალაქში ამ დროს მძვინვარებდა რაღაც გადამდები სენი. ეს სენი შეუბრალებლად მუსრს ავლებდა დიდსა და პატარას. ერთ დღეს შემატყობინეს, რომ ჩემი ცოლი და ერთი პატარა ყმაწვილი მოკვდა. ცოცხალი არის მხოლოდ ათი წლის პატარა ქალიო... მე ნება ავიღე წასვლისა, მაგრამ არ ვიცოდი რა მექნა უფულობის გამო... მე კაპეიკი ფული არ მქონდა მათ დასასაფლავებლათ. წინათ ამ სოფელში დავუმეგობრდი ერთ ჩეჩენს. სხვათაშორის, მას გავუზიარე ჩემი მწუხარება. ჩეჩენმა მომისმინა და თან ჩაფიქრდა:

— ნუ წახვალ საღამომდე, და საღამოს, მე შეიძლება გიშოვო ფული.

და მართლაც, საღამოს ხვედავ ფული მოაქვს.

— სად იშოვე?—ვეკითხები მე. ის ჩურჩულით მიპასუხებს:

— არავის არ უთხრა: ზელიმხანმა გამოგიგზავნა.

რამდენად მართალია ყველა ზემოხსენებული ამბები ზელიმხანის შესახებ, მე ამის გარჩევას არ შევუდგები, მაგრამ ამისთანა მაგალითებით, სავსეა კავკასია.

## ვლადიკავკავის სადგურზე თავდასხმა.

რადგანაც ზელიმხანი ხშირათ ეცემოდა ქალაქ ვლადიკავკავს, ამიტომ, ადგილობრივი პოლიცია მუდამ მზათ იყო მის დასახვედრათ.

და აი ზელიმხანიც გაჩნდა. გაჩნდა სრულიად მოულოდნელათ.

ზელიმხანი შემოვიდა არა იმ გზით, რომლიდანაც მოელოდნენ,—არამედ სულ სხვა გზით, სხვა ადგილას.

ღამის ორი საათი იყო... ვლადიკავკავის სადგურზე, მატარებლის მომლოდინე ხალხი სკამებზე იჯდნენ და

სთულემდნენ. მატარებლის მოსვლას ჯერ კიდევ დიდი ხანი აკლდა.

ისარგებლეს რა ღამის წყვდიადით, სადგურისაკენ აუჩქარებლათ მიემართებოდენ ვიღაც არა საიმედო პირები.—ისინი ვიღაცას ელოდებოდენ.

მალე მათთან მივიდა ვიღაც თავიდან ფეხამდე შეიარაღებული კაცი.

— ყველანი შეგროვდენ?—შეეკითხა მათ ახლად მოსული.

— ყველანია.—იყო პასუხი.

— რამდენია?

— 25 კაცია.

— დიდებულია. .

— მაშ ნაწილმა სადგურს ალყა შემოარტყას და დაიკავოს ყველა გასავალი კარები, და ნაწილიც ჩემთან წამოვიდეს...

— მეტი ბრძანება არა იქნება რა?

— იქნება. და უმთავრესად ახსოვდეთ, რომ ერიდონ მსხვერპლს..: იარაღი იხმარონ უკანასკნელ და აუცილებელ შემთხვევის დროს. . წადით თქვენ თქვენ ადგილას!..

ერთი წუთის შემდეგ სადგური ვლადიკავკავი უკვე გარშემორტყმული იყო...

ერთი მათგანი შევიდა ტელეგრაფის განყოფილებაში, საიდანაც ოდნავ გამოდიოდა სინათლე.

— სად არის თქვენი დარაჯი?—ჰკითხა მან.

შიგ მყოფმა ტელეგრაფისტმა ქალმა უპასუხა:

— არ ვიცით... ნამდვილად უნდა სძინავდეთ...

— ეგ ძალიან კარგია, რომ სძინავთ.. დაიძინეთ თქვენც... ღამე მშვიდობისათ...

უცნობი გამოვიდა და გასცა ბძანება, რომ ყველა ოთახების შესავალ კარებში დარაჯები ჩაეყენებინათ რაც შესრულებულ იქნა.

ამის შემდეგ რამდენიმე ყაჩაღი შევიდა მესამე კლასის ზალაში, სადაც რამდენიმე კაცი იჯდენ სკამეზზე და სთვლემდენ. ესენი მატარებელს უცდიდენ.

უცნობების შესვლაზე მათ თვალები დაჭყიტეს. ერთი ყაჩაღი მივიდა მათთან და განუცხადა:

— იცით, ბატონებო, რომ სადგური დაჭერილია ჩვენგან... თქვენ არავითარი საფრთხე არ მოგელით. მხოლოდ ამ პირობით: თქვენ უნდა იქნეთ სრულიად ხმა ამოუღებლივ, ისე, როგორც წყალში თევზი, და ერთ ადგილსა უნდა გაქვავდეთ, როგორც ქერპი... და არავითარ შემთხვევაში ხელი არ შეგვიშალოთ.

ყაჩაღებმა მათთან ერთი დარაჯი დააყენეს, და შემდეგ გაემართენ იმ განყოფილებისაკენ, სადაც ფულიანი დიდი რკინის ყულაბი იყო მოთავსებული. ყაჩაღებმა კარებს ხელით მაგრათ რაკუნი დაუწყეს, მაგრამ არავისაგან პასუხი არ იყო. შემდეგ ერთი კიდევ მაგრათ დაჰკრეს კარებს მუშტი. კარი გაიღო... სადგურის კარის კაცი ვიშნევსკი და მორიგი დარაჯი კანდიევი, უკმაყოფილებით, რომ იგინი უდროვო დროს გამოაღვიძეს შეიგინენ... მაგრამ დაინახეს რა შიგნით შემოსული შეიარაღებული ხალხი, ფერი ეცვალათ...

ვიშნევსკის და კანდიევის მაშინვე იარაღი აჰყარეს.

— თუ თქვენ სიცოცხლე გინდათ, თქვენ უნდა გაჩერდეთ ერთ ადგილას და არ გაინძრეთ,—განუცხადეს ყაჩაღებმა.

ვიშნევსკიმ ოდნა მოასწრო დაყვირება „კარაულ!“ მაგრამ მას რევოლვერები მიუღირეს, და ჩააჩუმეს.

ვიშნევსკის წამოყვირილი გაიგონა იქვე გვერდით ოთახში მყოფმა მორიგმა ჟანდარმმა გლებოვმა, და მაშინვე გამოვარდა გარეთ ამბის შესატყობლათ, მაგრამ მას წინ გადაეღობა თოფებით შეიარაღებული სამი კაცი. მივარდენ

947.9
ჭ 545

ტელეფონს, მაგრამ ნახეს, რომ გაეფუჭებინათ ყაჩაღებს.

ჟანდარმის ოთახში ჯერ კიდევ არაფერი არ იცოდენ. უცებ ჟანდარმთა უნტერ ოფიცერი გამოვიდა გარეთ, რომელსაც წყალი მოსწყურებოდა. ის გაეშურა წყლის დასალევათ მესამე კლასის ზალისაკენ, სადაც ბოჭკით იდგა წყალი. მაგრამ გადადგა თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, მას წინ გადაეღობენ ყაჩაღები, იარაღი აართვეს და ძირს წააქციეს.

ჟანდარმების ოთახში ამას გარდა კიდევ იმყოფებოდა ერთი უნტერ ოფიცერი ფელდოროვი და დარაჯი როჟნოვი.

ზელიმხანმა ბრძანება გასცა, რომ დაეტყვევებინათ ისინი და გამოსავალი კარები შეეკრათ ცარიელი ყუთებით.

იქ კი რკინის ყულაბას მაგრათ სცემდენ ჩაქუჩს.

ამავე დროს, მეორე ნაწილი ყაჩაღებისა გაეშურა დარაჯ კრიუჩნიკოვისაკენ, რომელიც სადგურის მახლობლათ ქუჩაში იდგა, და მოსთხოვეს მას თან გაჰყოლოდა, მას უთხრეს ბოქაული გეძახისო. გზაში მას იარაღი ჩამოართვეს და დაატყვევეს.

მალე ჩაქუჩის ცემა შესწყდა, რადგან ყულაბი უკვე გატეხათ.

— გავიდეთ! — ხმა მაღლა გასცა ბძანება უცნობმა ჩეჩენმა, და ყველა ყაჩაღები გაემართენ გასავალ კარებისაკენ.

ყულაბიდან ყაჩაღებს წაეღოთ ხუთმეტი ათასი მან. წასვლის დროს, მათ რამდენჯერმე გაისროლეს ჰაერში თოფები და მიიმალნენ.

მალე ყველამ შეიტყო... მთელი პოლიცია ფეხზე დადგა. ყაჩაღებს მსწრაფლ დაედევნენ შესაპყრობლათ, მაგრამ ვერავინ ვერ აღმოაჩინეს ყაჩაღები უკვალოდ სადღაც გაჰქრენ.